www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2016
წელი

21.12.2017

www.geostat.ge

21.12.2017

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2016 წელი)

2016 წელს საქართველოში საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული 2384 საწარმო[1] ფუნქციონირებდა, რომელთა დეკლარირებულმა შემოსავლებმა 4431,3 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები 71,1%-ით განისაზღვრა, საკომისიოები და შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან 10,9%-ს შეადგენს, ხოლო დარჩენილი 18,0% სხვა შემოსავლებზე მოდის:

საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2016 წელს



2016 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ხარჯებმა 3628,9 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც 35,4% წარმოადგენს საპროცენტო ხარჯებს. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე 720,7 მლნ. ლარი დაიხარჯა, ხოლო საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე გაწეული ხარჯები 548,6 მლნ. ლარით განისაზღვრა:

[1] *საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016: განყოფილება 64 - საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა; განყოფილება 66 - საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები).*

საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ხარჯების სტრუქტურა 2016 წელს



2016 წლის დასაწყისისათვის საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სალაროში განთავსებული იყო 1226,0 მლნ. ლარი ნაღდი ფულის სახით, ხოლო წლის ბოლოს მისი მოცულობა - 1340,7 მლნ. ლარს გაუტოლდა.

2016 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ფიქსირებულ აქტივებში განხორციელდა 502,7 მლნ. ლარის ინვესტიცია. 2016 წლის ბოლოსთვის ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენმა (საბალანსო) ღირებულებამ 1427,3 მლნ. ლარი შეადგინა.

2016 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 36,9 ათას კაცს, რომელთაგან 59,1% ქალი იყო.

2016 წელს სადაზღვევო კომპანიების[2] მიერ გამომუშავებულმა პრემიამ (ბრუტო) 369,5 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან 43,6% სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 18,7% - ქონების დაზღვევაზე, 15,2% - სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), 7,0% - სიცოცხლის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (15,5%) უბედური შემთხვევის და სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

2016 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) 232,5 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 61,2% სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 14,5% - სახმელეთო

[2] *წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ("პირდაპირი დაზღვევის" საქმიანობა, სახეობების მიხედვით).*

სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), 9,7% - ქონების დაზღვევაზე, 2,8% - სიცოცხლის დაზღვევაზე, დანარჩენი (11,8%) უბედური შემთხვევის და სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) მიერ 2016 წელს გამომუშავებული პრემია (ბრუტო) და დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) დაზღვევის სახეობების მიხედვით:

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია და დამდგარი ზარალი დაზღვევის სახეობების მიხედვით 2016 წელს *(მლნ. ლარი)*



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge